

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ ს/კ.404384690

ფინანსური ანგარიშგება

პერიოდი : 2021 წელი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	გვერდი-2
შემოსავლის ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობა	გვ-3
ფინანსურ ანგარიშგების განმარტება-შენიშვნები	გვ.3-5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

პერიოდი:	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	1012392	376,435	443,978
<i>სულ გრძელვადიანი აქტივები</i>	<i>1012392</i>	<i>810802</i>	<i>782568</i>
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	342182	129878	184262
ფულადი სახსრები	276200	262900	24355
მარაგები			1965
<i>სულ მიმდინარე აქტივები</i>	<i>618382</i>	<i>392778</i>	<i>210582</i>
სულ აქტივები:	1630774	1203580	993150
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი	400		
გაუნაწილებელი მოგება - ზარალი	595000		
გადაჯსების რეზერვი	368300		
<i>საკუთარი კაპიტალი და სხვა კომპონენტები</i>	<i>460479</i>	<i>746985</i>	<i>450153</i>
<i>სულ საკუთარი კაპიტალი</i>	<i>1424179</i>	<i>746985</i>	<i>450153</i>
<i>ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			5131
საგადასახდო ვალდებულება			29846
სხვა ვალდებულებები		250000	301425
სასესხო ვალდებულებები	206595	206595	206595
<i>სულ ვალდებულება:</i>	<i>206595</i>	<i>456595</i>	<i>542997</i>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1630774	1203580	993150

შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი:	31.12.2021-წ.	31.12.2020-წ
ამონაგები	1697515	1331387
რეალიზირებული მომსახურების თვითღირებულება	886241	1034555
მ/შორის:		
დასაქმებულთა გასამრჯელოები	669535	579290
იჯარა (ოფისი)	12000	12000
საპროცენტო ხარჯი	49592	58020
სხვა საოპერაციო ხარჯი	155114	385245
მოგება დაბეგვრამდე	811274	296832
სრული მოგება	811274	296832
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო წლის დასაწყისში	746995	450153
გაცემული დივიდენდი საანგარიშო პერიოდში	134080	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1424179	746985

ფულადი სახსრების მოძრაობა

პერიოდი :	31.12.2021-წ.	2020-წ.
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადი	1697515	1331387
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადი	-1684215	- 1092842
შემოსავალ-გასავლალს შორის სხვაობა	13300	238545
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	262900	24355
ფულადი სახსრები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	276200	262900

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ (ს/კ. 404384590) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის ნომერი B21060644,

17/06/2021). საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ივ.ჯავახიშვილის ქ.#4; ფაქტიური ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #234, კლინიკა „ვივამედი“-ს შენობის ოთახი #804, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილია გარდაბნის რ/ნი, სოფ. მარტყოფის მიმდებარე ტერიტორია.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა დაბინძურებისგან გასუფთავება და ნარჩენების მართვის სხვა მომსახურება.

საწარმო ფულადი სახსრების გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრულ იალრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

3-სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1-ამონაგების აღიარების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

3.2- მომსახურებისთვის მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება მომსახურება.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.3- სავაჭრო მოთხოვნები: მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არა დისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.4- სასესხო ვალდებულებები საბანკო ოპერაციებით არ გვექონია, გაგავჩნია მხოლოდ დამფუძნებლებიდან დროებით საჭიროებისთვის მიღებული სესხი 206595-ლ. აღნიშნულთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარებულია მოგება-ზარალში.

3.5- სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არა დისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.6-ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში. საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის ძირითადი საშუალებების ნაშთი შადგენს 1012392-ლარს, საიდანაც მიწის ნაკვეთს ღირებული 431402-ლ. ცვეთა არ ერიცხება, ასევე არაა დარიცხული ექსპლუატაციაში არ შესულ დაუმთავრებელ

მშენებლობაზე გაწეულ დანახარჯებს, რაც შეადგენს 212690-ლარს , ხოლო დანარჩენი 368300-ლარის ძირითადი საშუალებენი გატარებულია ხარჯებში ექსპლოატაციაში შესვლისას და შესაბამისად შექმნილია გადაფასების რეზერვი.

3.7- დაქირავებულ პირთა გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

3.8- ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.9- მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგრის პრინციპების გათვალისწინებით. სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან. დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

საადრიცხო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტი, ხოლო წინა პერიოდებში, როგორც მეოთხე კატეგორიის საწარმოს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიში დამტკიცებულია.

დირექტორი:

ზ.ბერაძე

თარიღი : 20.02.2023-წ.